# თავისუფალი საქართველო

№22

18-24 ივნისი 1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ოკუპაცია ევროპაში უშიშროებისთვის

### მშვიდობის გზა აფხაზეთის ომის გავლით

ივნისის შუა რიცხვებში ყველა ელოდა ორი თვის წინ პარლამენტის მიერ ხმაურითა და ჰეროიკული პათოსით მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას - აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის შეწყვეტას ან გადასინჯვას მაინც. დსთ-ს ქვეყნების წარმომადგენელთა უკანასკნელი შეხვედრის (ანუ როგორც ამბობენ ევროპული დემოკრატიის ენაზე - სამიტის) შემდეგ, სამშვიდობო ძალებს მანდატი კიდევ ერთი თვით გაუხანგრძლივდა.

პარალელურად ამისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კოლეგიამ ხელისუფლებას დაუსვა საკითხი ევროპაში ჩვეულებრივი შეიარღების შემცირებასთან დაკავშირებით საქართველოზე გამოყოფილი კვოტების რუსეთისთვის გადაცემის თაობაზე. უშიშროების საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ეს საკითხი იდგა კოდორის ხეობაში ვითარების მოგვარების პრობლემასთან ერთად, რაც ერთობ საგულისხმოა: რასაკვირველია, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი - ვისი იქნება, თუნდაც ფორმალურად, ქვეყანაში არსებული მთელი შეიარაღება - საქართველოსი თუ რუსეთის, უშუალოდ უკავშირდება აფხაზეთის პრობლემას.

სწორედ ამ პერიოდში საქართველოს ცისფერ ეკრანზე, რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელის, ვასილ იაკუშევის გვერდით გამოჩნდა აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს განცხადებებისა და შსს კრიმინალური ქრონიკის მუდმივი გმირი, "ზვიადისტ-ფაშისტთა" ერთგული "მოკავშირე" - რუსლან ქიშმარია, რომელმაც, უნდა ითქვას, საკმაოდ დამაჯერებლად ისაუბრა ქართველთა და აფხაზთა შორის კონფლიქტის უაზრობასა და მშვიდობის დამყარების აუცილებლობაზე. სხვათა შორის, იაკუშევის გარდა, მან თავისი აშკარა უპირატესობის დამადასტურებელი კიდევ ერთი, შესაძლოა უმნიშვნელო, მაგრამ საგულისხმო არგუმენტი მოიყვანა - ისინი, აფხაზები, ჩვენგან განსხვავებით, უყურებენ ქართულ ტელევიზიას და კარგად უწყიან ქართველი საზოგადოების განწყობილება.

### ტრადიციული რუსული თამაშობები

აღსანიშნავია, რომ კვოტების საკითხი ნაგულისხმევია ხელშეკრულებაში საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ (ე.წ. 25 წლიან ხელშეკრულებაში), რომელიც ასევე დიდი იმედებით იქნა ხელმოწერილი პავლე გრაჩოვის ისტორიული ვიზიტის დროს. ამდენად, არის ორი ვარიანტი: ან პასუხისმგებლობას ამ საკითხის გადაწყვეტაზე მთლიანად აიღებს აღმასრულებელი ხელისუფლება (საეჭვოა, ამ დარტყმას თავი შეუშვიროს თავად შევარდნაძემ), ან მორჩილ, მაგრამ პრანჭია პარლამენტს კვლავ ჩააყენებენ მეტად უხერხულ პოზაში და, 25 წლიანი ხელშეკრულების რატიფიცირებით, გადააბარებენ მთელ პასუხისმგებლობას.

მიუხედავად ამისა, თავდაცვის უწყება და მისი ხელმძღვანელი, ერთობ ქართული სახელითა და რუსული აქცენტით, უკვე აშკარა თავდასხმის ობიექტი ხდება. საფიქრალია, ჰორიზონტზე კიდევ ერთი განტევების ვაცის ფიგურა გამოჩნდა, რომელიც, შესაძლოა, არცთუ შორეულ მომავალში ჩამოსცილდეს საქართველოს პოლიტიკურ კაბადონს - ცხადია, წინასწარ მას უცილობლად გადაადგმევინებენ საქართველოსთვის საბედისწერო ნაბიჯს ან ნაბიჯებს.

ამასთან, თავად რუსეთსაც დიდად არ ეჩქარება: დასავლეთის წამყვანმა სახელმწიფოებმა სამი წლით გაუხანგრძლივეს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ვადა და ეს უდავოდ აძლევს საშუალებას ჩრდილოელ უფროს ძმას, კიდევ დიდხანს ათამაშოს სამხრეთელი უმცროსი.

### აურზაური ყველაფრის შემდეგ

საგულისხმოა, რომ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით ხმაური ქართულ პოლიტიკურ წრეებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც შედეგი, პრაქტიკულად, სახეზეა და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია. არვინ არაფერს ამბობს დამღუპველი პროცესების საწყის ეტაპზე. მაგალითად, გაუგებარია ნადიბაიძისა და თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების მიმართ ზოგიერთი პოლიტიკოსის ამჟამინდელი გალიზიანება, როცა, ხსენებული ხელშეკრულების თანახმად, კვოტების საკითხის გადაწყვეტა სწორედ უწყებრივ დონეზე ცალკე შეთანხმების გზითაა ნაგულისხმევი.

თავის დროზე, ამ ხელშეკრულების კომენტირებისას ჩვენ საგანგებოდ აღვნიშნავდით, რომ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც ქვეყნის სტრატეგიულ-პოლიტიკური კურსის განსაზღვრას ეხება, დაუშვებელია უწყებრივი შეთანხმებების დონეზე იყოს დამდაბლებული. ამასობაში კი პოლიტიკური ელიტა ტკბებოდა რუსთაველის გამზირზე ჩვეული კომუნისტური პომპეზურობით მოწყობილი სამხედრო აღლუმებითა და ფორმიან ქართველთა სიმრავლით, დასცინოდა რადიკალურად განწყობილ ოპონენტებს, რომლებიც ხელისუფლების ნაბიჯებს მიიჩნევდნენ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ეტაპებად. ეს ეხება არა მხოლოდ მმართველ "მოქალაქეებს", რომელთა პროიმპერიული მენტალიტეტი უკეთესს არც არაფერს გვპირდება, არამედ ვითომდა ოპოზიციურ, ნაციონალური შეფერილობის პარტიებსაც.

დღეს ქართული პოლიტიკური სპექტრი თითქოსდა ღელავს უპირველესად იმის გამო, რომ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ვექტორი სულ უფრო უახლოვდება რუსეთის სტრატეგიულ-პოლიტიკურ კურსს, რაც მათ მხოლოდ ახლა შეამჩნიეს. თურმე, საქართველოში რუსეთის სამხედრო პოტენციალის გაზრდა უშუალოდ ეხება ნატო-ს ქვეყნების მზარდ ინტერესს აღმოსავლეთის მიმართ.

არჩევანი კი, რეალურად, რა ხანია გაკეთდა საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისა და პრეზიდენტის განდევნით და გაკეთდა, უპირველესად, საქართველოს საზიანოდ. ამდენად, არა აქვს მნიშვნელობა, ვის ინტერესებს შეესაბამება ეს არჩევანი - რუსეთისა თუ დასავლეთის. მით უფრო, რომ რუსეთი იმასაც კი ახერხებს, თავად საქართველოს ოკუპირების აუცილებლობა ევროპის უშიშროებისთვის ზრუნვით ახსნას.

ასე რომ, პროცესი რა ხანია დაწყებულია. ახლა მხოლოდ შედეგებს ვიმკით.

***რომანოზ საგინაშვილი***

## საქართველოში დასახვრეტ პირთა სია იზრდება

გუშინ, 17 ივნისს, უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ ჯ. ლეონიძის თავმჯდომარეობით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა კანონიერი ეროვნული გვარდიის ოფიცერს, ბადრი ზარანდიას. აღსანიშნავია, რომ ის ძირითადი კრიმინალური ბრალდება, რომელიც ფიგურირებდა მთელი პროცესის მანძილზე, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო დაბრუნებულია ხელახალ ძიებაში, ხოლო სასიკვდილო განაჩენი გამოტანილ იქნა დღეს უკვე უნივერსალურ ბრალდებად ქცეული საქართველოს ს/ს კოდექსის 65-ე მუხლით - სამშობლოს ღალატი.

როგორც ჩანს, საქართველოში სტალინური სასამართლო პროცესების რეანიმაციის ახალი ეტაპი დაიწყო, როდესაც ხდება ნებისმიერი პოლიტიკური ოპონენტის სამშობლოს მოღალატედ და ხალხის მტრად გამოცხადება და მისი ფიზიკური ლიკვიდაცია.

## სიმართლის მარადიული ხიბლი,

### ანუ რატომ არასოდეს ჰქონია შევარდნაძეს პრობლემები შემოქმედებით ინტელიგენციასთან

მას შემდეგ, რაც პერესტროიკის ორგანიზატორებს თავიანთი გაუფრთხილებლობის წყალობით ხელში შემოენგრიათ სსრკ თავისი განუყრელი ატრიბუტებითურთ, მათ იხტიბარი არ გაიტეხეს და თავი ისე დაიჭირეს, თითქოს სანუკვარი ოცნება აუსრულდათ - ბოლოს და ბოლოს განხორციელდა ის, რასაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება შეალიეს. რაკი სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდათ, თავადვე იტვირთეს ქვეყნის "დემოკრატიზაციის" პროცესის მესაჭის როლი... დამკვრელური ტემპებით გადაილებნენ და თვითგვემას, ანუ საკუთარი წარსულის განქიქებას მიჰყვეს ხელი... და ჩვენს თვალწინ ამოიზარდნენ კომუნისტურ პარტიაში მისი შიგნიდან დასანგრევად შეპარული, სინამდვილეში კი "ყოველთვის პროგრესულად მოაზროვნე დემოკრატები", "ჰუმანისტები", "მორწმუნეები", "დისიდენტი" ცკ-ს მდივნები, "ეროვნულ პრობლემებზე ფიქრში გათეთრებული" პარტიული მუშაკები, რომელთაც, თურმე ნუ იტყვით, ულმობელმა დრომ საძულველი, სათაკილო ტვირთის ზიდვა მიუსაჯა. გაჩნდა პერესტროიკის შუქზე სახელდახელოდ შექმნილი ე.წ. აკრძალული ლიტერატურა, "თავისუფლების მოლოდინში გაყვითლებული" ლექსები და რომანები, ეკრანზე ერთიმეორეს მიყოლებით გამოჩნდა "ანტიკომუნისტური" ფილმები.

მაგრამ ამ საყოველთაო სიყალბისა და განუკითხაობის პერიოდში, რაღა თქმა უნდა, ჭეშმარიტი თავისუფალი სიტყვაც გაისმა, ყოველ დროში თავისუფალი და მართალი ხელოვნებაც გამოჩნდა... ეს კი "რეფორმატორთა" გეგმაში, როგორც ჩანს, არ შედიოდა. არადა, პროცესის შეკავება თითქმის შეუძლებელი იყო...

გაზეთში "მოსკოვსკიე ნოვოსტი" გამოქვეყნდა 1986 წლის 27 ოქტომბრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთ-ერთი სხდომის სტენოგრამა. სხდომის მონაწილეებს ძირითადი თემიდან მოულოდნელად გადაუხვევიათ და ერთგვარი დისკუსია გაჩაღებულა კულტურის, მწერლობის სფეროში, საინფორმაციო საშუალებებში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების შესახებ. საუბარში მონაწილეობდნენ: გორბაჩოვი, ლიგაჩოვი, ჩებრიკოვი, გრომიკო და, რაღა თქმა უნდა, ყველა "დემოკრატიული" სერობის უცვლელი მონაწილე - ე. შევარდნაძე.

პარტიული ლიდერები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ ხელისუფლების მიერ ბოძებულმა "თავისუფლებამ" დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა... ზოგიერთი მწერალი (მაგალითად, ბელოვი, ასტაფიევი, აიტმატოვი) "მეორე უკიდურესობაში" - რელიგიაში გადავარდა. ჩებრიკოვი აცხადებს, რომ ასეთ გამოხდომებს საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს. "დემოკრატთა" იდეოლოგიის ბურჯს - ლიგაჩოვს, არ მოსწონს გუმილიოვისადმი ზოგიერთების გადაჭარბებული ყურადღება.

დისკუსიაში აქტიურად ებმება ე.შევარდნაძე - მართალია, დისკუსიის საგანში დიდად გათვითცნობიერებული კაცის შთაბეჭდილებას არ ტოვებს, სამაგიეროდ, მისი ნააზრევი "პარადოქსულობით" და ძველი აზროვნების პრინციპებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩევა. აი, რას ამბობს იგი: "ახლა ბევრი მწერალი ცდილობს, ანგარიში გაუსწოროს საბჭოთა ხელისუფლებას თავისი მშობლების თავსდატეხილი უბედურების გამო. აწ განსვენებული ი. ტრიფონოვი ამბობდა, რომ იგი არასოდეს აპატიებს კომუნისტებს მამამისის მიმართ გატარებულ რეპრესიებს"...

შემდეგ კი პავლიკ მოროზოვის ნაშიერისთვის დამახასიათებელი ირონიულობით დასძენს: "ე.ევტუშენკო შურს იძიებს თავის დროზე რეპრესირებული ორი ბაბუის გამო... ვიღაც გვთავაზობს, გამოვაქვეყნოთ ტვარდოვსკის ნაწერები, სადაც მწერალი კულაკებს იცავს" - და იქვე ჩეკისტური სკრუპულოზურობით აღნიშნავს - "მოგეხსენებათ, ტვარდოვსკი კულაკის შვილი იყო"-ო... ბოლოს კი დასძენს: "ლიტერატურაში ბევრია ისეთი პირი, რომელიც ცდილობს და ყოველთვის ეცდება შემოქმედებითი ორგანიზაციების გამოყენებას პირადი მიზნებისთვის".

გენიალურ აზრს სიმარტივე ახასიათებს. შევარდნაძის ზემოთ მოხმობილ მოსაზრებასაც, პირველ ყოვლისა, თავისი სიმარტივე მატებს ხიბლს - ის, რაც "დემოკრატიის" დანარჩენ "მამებს" ძალზედ საგანგაშო ჰგონიათ, შევარდნაძეს სულ იოლად დაჰყავს პირადი მიზნების, პირადი ამბიციების დაკმაყოფილების სურვილამდე. იგი, სხვათაგან განსხვავებით, "მარტივად" უყურებს მოვლენებს: გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის და, გნებავთ, ტვარდოვსკის მამის ან ევტუშენკოს ბაბუის, სხვა მილიონობით ადამიანის ბედი, მხოლოდ მათი ახლობლების სატკივარი ყოფილა. ისინი - "პირადი" ტკივილით შეწუხებულნი, თურმე ცდილობენ, ეს ყველაფერი კაცობრიობის საწუხარად, დიდ ტრაგედიად წარმოაჩინონ... რა გაეწყობა, ყველა დიდი პოლიტიკოსივით დიდსულოვანი ხომ ვერ იქნება - არადა, მასაც ჰქონდა პარტიაზე განაწყენების მიზეზი, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავისი ბედი რეპრესირებულთა ოჯახის ასულს დაუკავშირა, კიდევ რამდენიმე ათეული წელი ემსახურა კომუნისტურ პარტიას და "მოყვრებისთვის" შურისძიება გულში არ გაუვლია...

"დრო შეიცვალა" და დღეს "დემოკრატიას" ემსახურება, კულტურის გადარჩენისთვის იღვწის, მადლობასა და ბევრ სხვა რამესაც სწირავს "შემოქმედებით ინტელიგენციას", რომელიც წინათ კალმით და სიტყვით, ბოლოს კი იარაღით ხელში იბრძოდა "თავისუფლების გადასარჩენად", "ბნელეთის გასანათებლად" ... ისინი იფერებენ ამ მადლობას და მერე ათმაგად უბრუნებენ თავიანთ მწყალობელს: საზოგადოებას მოუთხრობენ პრეზიდენტის მიერ ცკ-ს მდივნობის პერიოდში გაწეული "დისიდენტური" ჭაპანის შესახებ - როგორ ახერხებდა იგი, ბნელი ძალებით შემოჯარული, თავისუფალი აზრის, მართალი სიტყვის, ჭეშმარიტი ხელოვნების "გადარჩენას"; როგორ აპარებდნენ ერთმანეთთან შეხმატკბილებული შემოქმედნი და ხელისუფალნი ცენზურის თვალს "ძირგამომთხრელ" ფილმებს, სპექტაკლებს, წიგნებს... როგორ ებრძოდნენ და როგორ ანგრევდნენ "შიგნიდან" ტოტალიტარიზმის საფუძვლებს... ისინი ჩუმად არ ყოფილან, მაგრამ ყველაფერს მოხერხება სჭირდება - გულაგებსა და ციხეებში სხვები - ერთეულები იტანჯებოდნენ...

მოგეხსენებათ, დიად საქმეთა ნაყოფით, უფრო ხშირად, ვიგინდარები ითბობენ ხელს... ჩვენი გულწითელა "დემოკრატებიც", ტრადიციულად, სინდისის ქენჯნის გარეშე მიიწერენ სხვათა დამსახურებებს... ამის უფლებას მათ ხელახალი აღზევების გარდა, თანდაყოლილი ურცხვობაც აძლევს... მაგრამ ისტორია ყველაფერს ინახავს, იმახსოვრებს და გვახსენებს, რომ 1986 წელს, პერესტროიკის გარიჟრაჟზე, კრემლის კედლებში ბოლშევიკთა მორიგ სერობაზე, ჯერ კიდევ მოუნათლავი "დემოკრატები" თავისუფალი სიტყვის, ჭეშმარიტი, მართალი ხელოვნების დასამარების, თავიანთი ბნელი წარსულის მიჩუმათების გზებზე ბჭობდნენ...

***ნუგზარ წიკლაური***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოში ასამართლებენ ჩეჩნეთის მოქალაქეებს

10 ივნისს, უზენაეს სასამართლოში, მოსამართლე ლერი საყვარელიძის თავმჯდომარეობით (იგი ცნობილია პოლიტპატიმრების - ზურაბ ბარძიმაშვილისა და ომარ კოჭლამაზაშვილის სასამართლო პროცესით) დაიწყო 1994 წლის 10 მაისს ყაზბეგში დატყვევებული ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას მოქალაქეების, ხოჯ-აჰმედ დუდაევისა და ზელიმხან ესმურზაევის საქმის სასამართლო განხილვა. ბრალდების მხარეს წარმოადგენდა პროკურორი ბეჟიტაშვილი, ხოლო დაცვას - ადვოკატი ვაჟა წიკლაური. როგორც ადრე ვიტყობინებოდით ("თავისუფალი საქართველო", №17, 1996), ორივე პატიმარს ბრალი ედება ს/ს კოდექსის 66-ე (ჯაშუშობა) და 79-238-ე (იარაღის კონტრაბანდა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

გარდა ამისა, ორივე განსასჯელს ბრალად ედება აფხაზეთის ომში მონაწილეობა. მოწმე ქარაიამ ისიც კი თქვა, რომ გუმისთაზე ნახა, როგორ იბრძოდნენ ეს ბიჭები მოწინააღმდეგის რიგებში (?!), რამაც ბუნებრივად დაბადა ეჭვი და კითხვა: გუმისთის საბრძოლო პოზიციებზე, ომის დროს მოწმეს სწორედ ეს ორი პიროვნება დაამახსოვრდა, თუ სხვა მოწინააღმდეგეების სახეებიც ისე კარგად ახსოვს, რომ ამჟამად, სამი წლის შემდეგ, მათ ამოცნობასაც შეძლებს?

ზელიმხან ესმურზაევს, რომელიც დაკავების მომენტში 15 წლის იყო, წინასწარი ძიების დროს დაჰპირდნენ, რომ გაცვლიდნენ როგორც სამხედრო ტყვეს და შესთავაზეს გადაეკეთებინა დაბადების წელი - თითქოს 1978 წლის ნაცვლად, დაბადებულია 1976 წელს. სამშობლოში დაბრუნების იმედით, იგი დათანხმდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა.

განსასჯელებმა განაცხადეს, რომ წინასწარი ძიების დროს მათ მიმართ გამოიყენებოდა ფიზიკური წამება - სიგარეტების ჩაქრობა სხეულზე, დენის გატარება, სასტიკი ცემა. ამგვარად გამოსძალეს მათ აღიარებითი ჩვენებები, რომლებიც ვიდეოფირზეც აღბეჭდეს და საქართველოს ტელევიზიით აჩვენეს. ესმურზაევმა დაიმოწმა უზენაესი საბჭოს წევრი ზვიად ძიძიგური, რომელიც იმ დროს მასთან ერთად იყო მოთავსებული უშიშროების სამინისტროს იზოლატორში.

აღსანიშნავია, რომ, საქმის მასალების მიხედვით, ჩეჩნეთის მოქალაქეების დაკავებისას ამოღებული იქნა დიდძალი იარაღი, აგრეთვე "ერ-გე-დე"-ს ტიპის ხელყუმბარა, მაგრამ საქმეში არ არსებობს ჩხრეკისა და იარაღის ამოღების ოქმი. ჩვენი კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორ მოხდა ეს, პროკურორმა ბეჟიტაშვილმა უპასუხა: "რა მოხდა, ასეთი შეცდომები გამოცდილ იურისტებსაც ემართებათ, მთავარია, რომ მოწმეებმა სასამართლოზე ყველაფერი დაადასტურესო".

მოწმეები კი - უშიშროების სამინისტროს ყაზბეგის განყოფილების თანამშრომლები - ავსაჯანიშვილი, ბურჯკური, პავლე ლაძიკიძე დარბაზში ისხდნენ და მშვიდად უსმენდნენ ერთმანეთის ჩვენებებს, რაც საპროცესო კოდექსის სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს. მოსამართლე ლერი საყვარელიძეს არც უზრუნია, რომ გაეყვანა ისინი დარბაზიდან და, დადგენილი წესის თანახმად, რიგრიგობით გამოეძახა. სამაგიეროდ, მას არ დავიწყებია აუგად მოეხსენიებინა საინფორმაციო საშუალებები, რომლებსაც, მისი თქმით, "ტყუილები სცოდნიათ". "რომელი იყო ის ჟურნალისტი, ჩემზე რომ დაწერა?.. ერთი ბანდიტი გავაძევე, ქურდი, მერე პოლიტპატიმარს ეძახდნენ, მეორე დღეს ისე დამხატეს გაზეთში, რომ..." - მხიარულად იცინოდა კანონის აღმასრულებელი.

# ადვოკატები ერთსულოვანნი არიან

**სასამართლო პროცესზე ბადრი ზარანდიასა და სხვათა ბრალდების გამო თავიანთი დაცვითი სიტყვები წარმოთქვეს ადვოკატებმა. მათ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფთა მიმართ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ბრალის სრული დაუდასტურებლობის გამო.**

ადვოკატმა გიორგი ჩოჩიამ შეახსენა სასამართლოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი განსასჯელის, ზვიად შეროზიას პატიმრობაში აყვანასთან დაკავშირებული ფაქტები: როგორ გამოცხადდა იგი თვითონ პოლიციაში, როდესაც გაიგო, რომ ძებნილთა სიაში იყო; როგორ მოხდა პოლიციის სამძებროს თანამშრომელთა მხრიდან მის მიერ იარაღის ჩაბარების საბუთის გადამალვა; როგორ აწამეს იგი წალენჯიხის პოლიციის შენობაში, რაც დაამოწმა სამსჯავრო გამოძიებაში დაკითხულმა მოწმემ, მარინე კაჩიამ. "ზვიად შეროზიას ბრალდება თავიდან ბოლომდე დაუდასტურებელია და წაყენებული ბრალი უნდა მოეხსნას თანახმად კანონისა" - განაცხადა ადვოკატმა.

მისმა კოლეგამ, თამაზ რეხვიაშვილმა საჭიროდ აღარ ჩათვალა საქმის არსებით მხარეებზე საუბარი, მხოლოდ აღნიშნა, რომ ეს სასამართლო პროცესი არის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ ანგარიშსწორება. "როგორ შეიძლება 15 წლით ჩამოაშორო ადამიანი საზოგადოებასა და ოჯახს მკვლელობის ბრალდებით, როდესაც მისი გასროლილი ერთი მასრაც კი არ არის ამოღებული?" - თქვა მან.

განსასჯელ გურგენ მალანიას ინტერესების დამცველი დალი ახვლედიანი ვრცლად შეეხო როგორც წინასწარ, ასევე სამსჯავრო გამოძიებაში დაშვებულ მრავალრიცხოვან დარღვევებს, როგორიცაა ეჭვმიტანილის ცემა-წამება, მისი ოჯახის წევრების, მათ შორის არასრულწლოვანი ძმის დაკავება, ჩვენებებზე ძალდატანებით ხელმოწერა, საქმიდან ზოგი მასალის უგზოუკვლოდ გაქრობა. მან აღნიშნა, რომ მთელი რიგი შუამდგომლობები არ იქნა დაკმაყოფილებული გამოძიებისა და სასამართლოს მიერ, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი შუამდგომლობა, როგორიცაა დაპირისპირებისა და ალიბის დამატებითი მოწმეების დაკითხვის აუცილებლობა. ადვოკატი თვლის, რომ წარდგენილი ბრალდების არც ერთი ეპიზოდი არ არის დადასტურებული. "მართლმსაჯულების მახვილი აღმართულია მათ თავზე, ვინც იბრძოდა ქართული მიწის მიმტაცებლების წინააღმდეგ, ვისთვისაც ხატია საქართველო, ვისაც არ სურდა საქართველოს დაყოფა ძალად მოსული ბოლშევიკ-ინტერნაციონალისტების მიერ, ვისაც სამშობლო მიწის არც ერთი გოჯი არ დაუთმია და კურდღელივით არ გამოქცეულა სოხუმიდან, ვინც ებრძოდა მათ, ვისი გამცემლური პოლიტიკის მსხვერპლიც გახდა მთელი საქართველო და თუ კიდევ დასცალდათ, თურქ მესხებსაც ჩამოგვისახლებენ სულეიმან დემირელის გასახარად, გერმანულ კოლონიებს გაგვიხსნიან გენშერის საამებლად" - განაცხადა ადვოკატმა.

განსასჯელ მურმან გულუას ინტერესების დამცველი ნატო ხუჯაძე დაწვრილებით შეეხო როგორც საქმეში მრავლად არსებულ წინააღმდეგობებსა და დარღვევებს, ასევე პრინციპულ საკითხს - იყო თუ არა ეროვნული გვარდია და ზუგდიდის კომენდატურის შენაერთი ბანდა. "მათ ჰქონდათ შტაბბინა, საწვრთნელი ბაზა, იზოლატორი, პრესა და ტელევიზია. ასეთი ატრიბუტიკის მქონე შენაერთი ბანდა კი არა, მთელი სახელმწიფოა."

ამავე საკითხზე საუბრისას განსასჯელ კარლო ჯიჭონაიას ადვოკატმა, იუზა ჯლამაძემ აღნიშნა, რომ ბანდის წევრებს უნდა ჰქონდეთ მატერიალური დაინტერესება და მიიღონ თავიანთი მოქმედებიდან რაიმე სარგებელი, განსასჯელთა ოჯახებიდან კი, საქმის მიხედვით, არავითარი მატერიალური ფასეულობა არ არის ამოღებული... "მაგრამ თუკი სახელმწიფოს სურს ვინმეს დასჯა, დასჯის კიდევაც, რაც წინა მსგავსმა სასამართლო პროცესებმა გვიჩვენა".

თავისი დაცვითი სიტყვის შესავალ ნაწილში განსასჯელ გაბრიელ ბენდელიანის ინტერესების დამცველი თამარ ლაშაბერიძე ფართოდ შეეხო საქმის პოლიტიკურ ასპექტს. მან აღწერა საქართველოში არსებული სიტუაცია 1992 წლის იანვრიდან მოყოლებული. სახელმწიფო საბჭოს დასაყრდენი - გვარდიის ნაწილები და "მხედრიონი" - დამსჯელ ლაშქრობებს მართავდა სამეგრელოში, რის გამოც იქ შეიქმნა დაუმორჩილებლობის კომიტეტი.

"ამ დროს ტელევიზია ცრუ ინფორმაციებით წამლავდა მოსახლეობას. როდესაც ზვიად გამსახურდია გაემგზავრა სომხეთიდან, მათ ამცნეს მაყურებლებს, რომ იგი სოხუმში ჩაფრინდა, იქიდან ზუგდიდში ჩავიდა და მიტინგზე მოუწოდა სამეგრელოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისკენ. ამ სიცრუემ თავისი როლი ითამაშა და გაუთვითცნობიერებელი მასის თვალში სამეგრელო წარმოადგინა საქართველოს მთლიანობის მოწინააღმდეგედ ... ამ დროს რიკოთზე გადმოდიოდა ნაყაჩაღარი მანქანების ქარავანი, ხოლო სამეგრელოში ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა პატივისა და ღირსების დაცვას... მოსახლეობა მიხვდა, რომ მხოლოდ თავისი თავის იმედი უნდა ჰქონოდა, უნდა აღდგენილიყო კანონიერი ხელისუფლება, რაც იქნებოდა უსაფრთხოების გარანტი... ამას დაერთო 14 აგვისტოს აფხაზეთში შესვლა რკინიგზის დაცვის საბაბით. სამი ხელშეკრულება დაიდო აფხაზეთის, საქართველოს და რუსეთის მხარეთა მონაწილეობით, მაგრამ არც ერთი არ შესრულებულა. განსაკუთრებით დიდი შეცდომა იყო მძიმე ტექნიკის გამოყვანა კონფლიქტის ზონიდან. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და კანონიერ ხელისუფლებას არც ერთ ამ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია და პასუხისმგებლობას მათ ვერ დავაკისრებთ...".

ადვოკატმა თ. ლაშაბერიძემ ყურადღება გაამახვილა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ წამების ფაქტზე, რაც გამოიხატებოდა მისთვის ფეხის ფრჩხილების დაცლაში. ეს დასტურდება როგორც მოწმეთა ჩვენებებიდან, ასევე შემთხვევის ადგილზე გაყვანის ამსახველ ფოტოზე, სადაც ნათლად ჩანს, რომ მას ფეხზე აცვია წინ ამოჭრილი ფეხსაცმელები.

ყველა ადვოკატმა სათითაოდ ყურადღება გაამახვილა საქმეში არსებულ უხეშ დარღვევებზე, როგორიცაა შემთხვევის ადგილზე გაყვანის ოქმი, რომლის მიხედვით, მასში ადვოკატები არ მონაწილეობდნენ; ასევე ამოღებული მასრების, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებისა და განსასჯელთაგან ამოღებული იარაღის ტიპებს შორის სრული შეუსაბამობანი; განსასჯელთა ცემა-წამებაში მონაწილე პირების, ასევე ალიბის მოწმეთა დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობათა უგულებელყოფა. მათი აზრი ერთსულოვანი აღმოჩნდა იმაში, რომ ბრალდება ემყარება ვარაუდებს, გამოძალვით მიღებულ აღიარებით ჩვენებებს, რომლებიც შემდეგ მრავალჯერაა უარყოფილი, რომ არ არსებობს განსასჯელთა ბრალის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები.

ადვოკატებმა ერთხმად მოითხოვეს, რომ გამოტანილ იქნეს გამამართლებელი განაჩენი.

*ს. გურამიშვილი*

## 17 ივნისს უზენაეს სასამართლოში მოსამართლე ცისკარიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო კანონიერი ხელისუფლების ეროვნული გვარდიის ოფიცრის, გორის ბატალიონის უფროსის, რამაზ ვანიშვილის საქმის სასამართლო განხილვა

# რწმენას ვერავინ მოგვიშლის

**კორესპონდენტი: - ბ-ნო რამაზ, რა პირობებში მოხდა თქვენი დატყვევება 1993 წლის ნოემბერში?**

რამაზ ვანიშვილი: - 1993 წლის 19 ნოემბერს, ჩემი მეგობრის სახლში ყოფნისას, თავს დაგვესხა 50-მდე შეიარაღებული პირი. გაგვიხსნეს ცეცხლი, რის შედეგადაც ჩემი ძმა და მეგობარი ადგილზე გარდაიცვალნენ. მე დამჭრეს, სისხლდენის შედეგად გონება დავკარგე. გონს მოვედი გორის საავადმყოფოში. თვალის გახელისთანავე დამიწყეს დაკითხვა გორის უშიშროების სამსახურის მუშაკებმა... 1995 წლის მაისის დასაწყისში გამასამართლა სამხედრო სასამართლომ სხვადასხვა ფალსიფიცირებული ბრალდებებით. უკანონოდ მომისაჯეს 5 წლით პატიმრობა.

**კორ. - რატომ თვლით თქვენს პატიმრობას უკანონოდ?**

რ. ვ. - მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია. ვიყავი და ვარ კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების ოფიცერი, ერთგული პრეზიდენტისა და სამშობლოს წინაშე მიცემული ფიცის. ვასრულებდი ჩემს მოვალეობას - ვიბრძოდი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და კანონიერი ხელისუფლების დასაცავად.

**კორ. - ე. ი. თქვენ ბრძანდებით სამხედრო ტყვე და დაპატიმრებული ხართ პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით?**

რ. ვ. - დიახ, სწორედ ასეა. განურჩევლად იმისა, 1992-93 წლების კონფლიქტს საერთაშორისო ხასიათი ჰქონდა (იგულისხმება კონფლიქტი რუსეთ-საქართველოს შორის), თუ არასაერთაშორისო (შიდასახელმწიფოებრივი, ე.წ. სამოქალაქო ომი), საერთაშორისო სამართლის თანახმად, კერძოდ, ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების თანახმად შეიარაღებული საერთაშორისო და არასაერთაშორისო კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ, გამარჯვებულ მხარეს, ანუ ფაქტობრივ ხელისუფლებას უნდა გაეთავისუფლებინა სამხედრო ტყვეები და უშუალოდ დაპირისპირების შედეგად დაპატიმრებულნი; თუმცა ფაქტობრივ ხელისუფლებას აფხაზეთის და თვითმარქვია ოსეთის მხარეებთან მოლაპარაკებისას ეს რატომღაც არ გამორჩენია.

**კორ. - როგორც ჩანს, თქვენთვის მეტი სასჯელი ემეტება ხელისუფლებას. ჩვენთვის ცნობილია, რომ ამჟამად დამატებით უნდათ გაგასამართლონ.**

რ. ვ. - დიახ, "ზვიადისტების პროკურორმა" - ა.ბალუაშვილმა არც მე დამწყვიტა გული და წამომიყენა ბრალდება სამშობლოს ღალატსა და ყაჩაღობაში - სსკ-ის 65-ე და 96' მუხლები. როცა გამომძიებელს ვკითხე, რატომ მოხდა განაჩენის გაუქმება და ამ მუხლების დამატება-მეთქი, მიპასუხა - შევარდნაძის ბრძანება არისო. ჩემთვის სულ ერთია, რამდენს მომცემენ - ათს, ცამეტს თუ თხუთმეტს - ფარისევლებს უნდათ, სულით დამცენ, მაგრამ ვერ მოესწრებიან... ამჟამად, ველოდები სასამართლოს. მცდელობას არ დავაკლებ, ვამხილო, როგორ დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებენ ეს ფარისევლები.

**კორ. - 2 წელიწადზე მეტია პატიმრობას იხდით მძიმე პირობებში, ჯანმრთელობის მხრივ, როგორ გრძნობთ თავს?**

რ. ვ. - აყვანის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად, დამიზიანდა ხელი. არასრულფასოვანი მკურნალობის გამო, ხელი დიდხანს მქონდა დაჩირქებული და ძვლებიც არასწორად შემიხორცდა - დღემდე ვერ ვხმარობ ნორმალურად, პერიოდულად მაწუხებს ტკივილები. პატიმრობის განმავლობაში ორჯერ გადავიტანე მწვავე ინფექციური ჰეპატიტი. სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩენიათ, რის შედეგადაც დღემდე მაწუხებს ღვიძლი. ხელი საოპერაციო მაქვს, მაგრამ საავადმყოფოში გადაყვანას ვერ მივაღწიე. ესეც ერთ-ერთი ნაცადი ტრადიციული მეთოდია პატიმარზე ფიზიკური და მორალური ზეწოლისა...მაგრამ არაფერია, სულით ვერ დამცემენ, რადგანაც ჩვენთვის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა არსებობს - ბრძოლა საქართველოს სრული თავისუფლებისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის. ჩვენს რწმენას კი ვერავინ მოგვიშლის.

*6 ივნისი, 1996 წელი*

**ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის დამატებითი I ოქმი შეიარაღებული საერთაშორისო კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ**

*.1977 წლის 8 ივნისს ეს დოკუმენტი შევიდა ძალაში, ხოლო 1989 წლის 4 აგვისტოს იგი რატიფიცირებული იქნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.*

ნაწილი მესამე

კარი მეორე - **კომბატანტების და სამხედრო ტყვეების სტატუსი**

მუხლი 43

1. -კონფლიქტში მყოფი მხარეების შეიარაღებული ძალები შედგებიან ყველა ორგანიზებული ძალის, ჯგუფის და შენაერთისგან, რომელთა სათავეში დგას ამ ქვეყნის ხელისუფლების წინაშე თავის ქვეშევრდომთა მოქმედებისთვის პასუხისმგებელი პირი იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი ხელისუფლება არ არის აღიარებული მოწინააღმდეგის მიერ. ამგვარი შეიარაღებული ძალები ემორჩილებიან შინადისციპლინურ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვას.

2. კონფლიქტში მყოფი მხარის შეიარაღებულ ძალებში

შემავალი პირნი (გარდა სამედიცინო და სასულიერო პერსონალისა) წარმოადგენენ კომბატანტებს, ე.ი. მათ უფლება აქვთ უშუალო მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებებში...

მუხლი 44

1. 43-ე მუხლით განმარტებული ნებისმიერი კომბატანტი მოწინააღმდეგე მხარის ხელში მოხვედრისას წარმოადგენს სამხედრო ტყვეს...

კარი მესამე - **სამხედრო ტყვეთა დაცვა**

მუხლი 7

ბ) სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ სამხედრო ტყვეების (კომბატანტების) გათავისუფლება და რეპატრიაცია

...კონვენცია აცხადებს, რომ სამხედრო ტყვეები ექვემდებარებიან რეპატრიაციას დაუყოვნებლივ საომარი მოქმედების დასრულების შემდეგ, ე.ი. ცეცხლის შეწყვეტისთანავე..

**ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის II დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ.**

*1977 წლის 8 ივნისს ეს დოკუმენტი ძალაში შევიდა, ხოლო 1984 წლის 4 აგვისტოს რატიფიცირებული იქნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.*

ნაწილი პირველი - **მოცემული ოქმის გამოყენების სფერო**

მუხლი 1. გამოყენების ძირითადი სფერო

1. მოცემული ოქმი, რომელიც ავითარებს და ავსებს 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციათა საერთო - მესამე მუხლს, არ ცვლის მისი გამოყენების არსებულ პირობებს და გამოიყენება ყველა შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც არ შედის 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციათა I დამატებითი ოქმის მოქმედებაში, ეხება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთ (ოქმი I) და რომელიც ხდება მოლაპარაკებაში მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებულ ძალებსა და ანტისამთავრობო შეიარაღებულ ძალებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის. ეს ჯგუფები იმყოფებიან პასუხისმგებელი სარდლობის ქვეშ, რომელიც ახორციელებს კონტროლს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს მუდმივი და შეთანხმებული საომარი მოქმედებანი და გამოიყენოს მოცემული ოქმი.

2. მოცემული ოქმი არ ეხება საშინაო წესრიგის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს და საშინაო დაძაბულობის მდგომარეობას - უწესრიგობებს, ძალადობის ცალკეულ და სპორადულ აქტებს და ანალოგიური ხასიათის სხვა აქტებს, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ შეიარაღებულ კონფლიქტებს.

# ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მოლოდინაშვილი

## ერევნიდან გროზნოსკენ

დავუბრუნდეთ იჯევანს. 8 იანვარს, დილით, სადაც ძიძიგურთან ერთად მივედი ზვიად გამსახურდიასთან და ვთხოვე, [illegible] საქართველოში. [illegible] ზედმეტ ტვირთად ვთვლიდი თავს. [illegible] ზუგდიდში, სადაც უკვე ჩამოყალიბებულიყო დაუმორჩილებლობის კომიტეტი. [illegible]

სულ რამდენიმე დღეში, ზუსტად რიცხვი აღარ მახსოვს, [illegible] პრეზიდენტის, ჯოხარ დუდაევის პირად წარმომადგენლებს, რომლებსაც აინტერესებდათ მხოლოდ ერთი საკითხი: იყო თუ არა თანახმა ბატონი ზვიადი, მიელო პოლიტიკური თავშესაფარი ჩეჩნეთში. ამისთვის საჭირო იყო პირადად პრეზიდენტის დასტური. მე ბატონ ზვიადთან მოლაპარაკების საშუალება არ მქონდა, მაგრამ ვიცოდი რა შექმნილი სიტუაციის სიმძიმე და იმ ხალხის ბუნებასაც კარგად ვიცნობდი, სადაც იგი იმჟამად იმყოფებოდა, საჭიროდ ჩავთვალე პირადად დამედასტურებინა ბატონი ჯოხარ დუდაევისთვის მისი ჩეჩნეთში გამგზავრების აუცილებლობა.

ამიტომ რამდენიმე პირთან და იმ წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც ჩეჩნეთის პრეზიდენტისგან იყვნენ წარმოგზავნილნი, სოხუმიდან გავფრინდი გროზნოში, სადაც პირადად შევხვდი ბატონ ჯოხარ დუდაევს. ამ შეხვედრამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მაშინ მეგონა, ვერ დავარწმუნე იგი, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, დამირწმუნებია, რომ ყველაზე უმთავრესი საკითხი იყო პრეზიდენტის უსაფრთხო გამოყვანა სომხეთიდან, ვინაიდან ვთვლიდი და ვთვლი, რომ, ბოლოს და ბოლოს, სომხეთის ხელისუფლება მას გადასცემდა კრიმინალურ ხუნტას.

მეორე საღამოს ბატონი ზვიადი გროზნოში ჩამობრძანდა ისე, რომ ჩვენ, იქ მყოფებმა, ამის შესახებ არაფერი ვიცოდით და ძალიან ვნერვიულობდით. არ ნერვიულობდა მხოლოდ ჯოხარ დუდაევი. ეს, როგორც ჩანს, მისი ხასიათის მნიშვნელოვანი თვისებაა - ქმედება გაცილებით ალემატებოდეს სიტყვას.

## სამართლებრივი დასკვნა პუტჩის შესახებ

იმისთვის, რომ გადატრიალების შესახებ საუბარი დავასრულო და შემდგომში აღარ დავუბრუნდე ამ საკითხს, მინდა წაგიკითხოთ რამდენიმე სამართლებრივი დასკვნა საქართველოში მომხდარი გადატრიალების შესახებ.

"მოაქციეს რა თავისი გავლენის ქვეშ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ფენა, ცალკეულმა პიროვნებებმა, რომელთა ნაწილი წინააღმდეგი იყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა, ხოლო მეორე ნაწილი მიილტვოდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისკენ, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გააჩაღეს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. კერძოდ, ეს პიროვნებები, ამზადებდნენ რა შეთქმულებას, ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით (ს/ს კოდექსი, მუხლი 65) ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის საზიანოდ (ს/ს კოდექსი, მუხლი 65), ავრცელებდნენ დეზინფორმაციასა და ცრუ მონაჭორს არსებული მდგომარეობისა და ხელისუფლების მოღვაწეობის შესახებ (მუხლი 137), აღვივებდნენ ეროვნულ მტრობას (მუხლი 65), ეწეოდნენ ჯაშუშურ საქმიანობას (მუხლი 66), ქმნიდნენ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებსა და ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს (მუხლი 73), ახორციელებდნენ ბანდიტურ თავდასხმებს მოსახლეობაზე, დაწესებულებებზე და ხელისუფლების წარმომადგენლებზე (მუხლი 68), აწყობდნენ მასობრივ არეულობებს (მუხლი 80), მოუწოდებდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ და მისი ძალადური შეცვლისკენ (მუხლი 71'), სახელმწიფოს წინააღმდეგ სხვა დანაშაულის ჩადენისაკენ (მუხლი 71). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში მომხდარი მოვლენები უნდა შეფასდეს როგორც დანაშაული საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ და აღიძრას სისხლის სამართლის საქმე იმ პირთა მიმართ, ვინც ხელმძღვანელობდა ამ დანაშაულებრივ ქმედებებს."

მოთმინებით დაველოდები მადლობას ბრალდების მხრიდან, რომ შევუმსუბუქე სამუშაო...

## ინტერნაციონალისტები მემარჯვენე რადიკალების სამოსით

ამის შემდეგ გროზნოდან ისევ სოხუმში ვბრუნდები. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ამ შემთხვევაში ქრონოლოგიაც დავარღვიო, მაგრამ მე მინდა მივყვე, ჩემის აზრით, ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ხაზს, რომელიც, კვლავ ჩემის აზრით, აღმოჩნდა აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების ერთ-ერთი საფუძველი.

სოხუმში იმ დროისთვის საკმაოდ უცნაური სიტუაცია დაგვხვდა. დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული ემისრები თბილისიდან, ფაქტობრივად, აღვივებდნენ ნაციონალისტურ-შოვინისტურ ფსიქოზს. ერთი შეხედვით, მართლაც ძალიან უცნაური იყო, რომ ის ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება ქადაგებდნენ ინტერნაციონალიზმს, ახლა გამოდიოდნენ უკიდურესი მემარჯვენე რადიკალების სამოსით. თბილისის მაშინდელი ტელევიზიაც წარმატებით ასხამდა ამ წისქვილზე წყალს.

სოხუმის ცენტრში, მთავრობის სახლთან იმართებოდა მიტინგები, რომლებშიც უაქტიურეს მონაწილეობას იღებდნენ დიმიტრი ჯაიანი და სხვა პირები, ასევე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართველი დეპუტატები. საქმე ისე იყო წარმოსახული, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ იმ დღეს, იმწუთას უნდა გადაწყვეტილიყო ყველა ის პრობლემა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში გროვდებოდა აფხაზეთში.

## აფხაზეთის პრობლემა გადაიჭრება მხოლოდ თბილისიდან

მე მახსოვს, რომ სოხუმელთათვის კარგად ცნობილ ე.წ. მეშველიანის ტურბაზაში შევხვდი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თითქმის მთელ ქართულ დეპუტაციას. იქ ბრძანდებოდა გივი ლომინაძეც, თამაზ ნადარეიშვილიც და სხვებიც. მე შევეცადე მათთვის ამეხსნა, რომ: როდესაც მთლიანად მოშლილია ცენტრი, როდესაც ქვეყანაში ქაოსი და განუკითხაობაა, როდესაც არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება თბილისში, როდესაც შეჩერებულია კონსტიტუცია, იმ საკითხების წინ წამოწევა და აქცენტირება, რასაც ეწეოდა აფხაზეთის ქართული დეპუტაცია, იყო დაუფიქრებელი ავანტიურა, რომელიც კარგს არაფერს მოუტანდა არც აფხაზეთის ქართველ მოსახლეობას და არც პირადად ამ დეპუტაციას. მე ვთხოვე, თავი შეეკავებინათ დესტრუქციული ქმედებებისგან, მაქსიმალურად გამოეყენებინათ ის კონსტიტუციური შესაძლებლობები, რომელიც მათ შეუქმნა 1991 წლის ზაფხულში მიღებულმა საარჩევნო კანონმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევის შესახებ. კერძოდ ის, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ კონსტიტუციური ცვლილებების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ ხმების ორი მესამედით. მათში ჩემმა რჩევამ ირონიული გულგრილობა გამოიწვია. პირველებმა ეს სხდომა ბ-ნებმა ლომინაძემ და ნადარეიშვილმა დატოვეს. ეტყობა, მათ სხვა დარიგებები ჰქონდათ სხვა ადგილას მიღებული.

1992 წლის 31 მარტს გროზნოში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის განდევნილი უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც, დღემდე ერთადერთმა, მისცა იურიდიული და პოლიტიკური შეფასება 1991-92 წლების მიჯნაზე განხორციელებულ სამხედრო გადატრიალებას. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი საკითხი.

გარდა ამისა, ამ სესიაზე სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მგალობლიშვილი, რომელმაც იქაც სცადა აფხაზეთის პრობლემების აქცენტირება, რაზედაც მას მიეთითა. არა იმიტომ, რომ ეს საკითხები პრობლემატური არ იყო, არამედ იმიტომ, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ თბილისიდან და არა გროზნოდან, მოსკოვიდან ან ნიუ-იორკიდან.

სამწუხაროდ, ეს რჩევებიც უგულებელყოფილ იქნა. შემდგომში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამ მხოლოდ პოლიტიკური დემარშების გზა აირჩია, რამაც საბოლოოდ გაამწვავა ვითარება და შექმნა უიმედო სიტუაცია. ამას თავის დროზე კვლავ დავუბრუნდები.

## უცვლელი პირობა - ყველა მინუს ერთი

სესიის დამთავრების შემდეგ გროზნოდან კვლავ სოხუმში დავბრუნდი. ვხედავდი რა გამოუვალ სიტუაციას და გარკვეულწილად იმის გამოც, რომ იგრძნობოდა საშინელი უბედურების მოახლოება, ხოლო გადარჩენის ერთადერთ გზად, მაშინაც, დღესაც და ყოველთვის, მიმაჩნდა ქართველთა ერთიანობა და არსებული დაპირისპირების მშვიდობიანად გადაწყვეტის აუცილებლობა, მე არ მითქვამს უარი აფხაზეთის მაშინდელ უშიშროების მინისტრთან, ბ-ნ ავთანდილ იოსელიანთან შეხვედრაზე.

შევხვდი და, პრეზიდენტთან შეუთანხმებლად, შევთავაზე შუამავლის როლი თავის მხარესთან, ხოლო ჩემი მხრიდან შევპირდი, რომ იგივე მისიით ჩავიდოდი გროზნოში ბატონ ზვიად გამსახურდიასთან. კერძოდ, რომ მოხერხებულიყო შევარდნაძისა და გამსახურდიას უპირობო შეხვედრა, აუცილებლად უპირობო. ვთვლიდი, რომ ამ შეხვედრას და პირად კონტაქტს, შესაძლოა, მეტად დადებითი და პოზიტიური შედეგები ჰქონოდა. შევთანხმდით, რომ ის წავიდოდა თბილისში, მე - გროზნოში

**მოსამართლე:** - შეხვედრა სად იყო?

**ნუგზარ მოლოდინაშვილი:** - შეხვედრა იყო სოხუმში. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იმ დროისთვის უკვე გაცემული იყო ჩემი დაპატიმრების სანქცია. მართალია, ახლა ბ-ნი ანზორ ბალუაშვილი იძახის, რომ უკანონოდ, მაგრამ მაშინ ეს სანქცია "კანონიერი" იყო.

იოსელიანთან ჩემი შეხვედრის შესახებ მოვახსენე ბატონ ზვიადს. შემთხვევით არ ვყვები ამას. სულ ახლახანს და ადრეც მე ხშირად გამიგონია მოქალაქე შევარდნაძისგან განცხადებები, რომ ის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის ყველა გზას ცდიდა, თითქმის მუხლზე დაჩოქილი ეხვეწებოდა ყველას. მე არ ვიცი, ვის ეხვეწებოდა, მაგრამ ვიცი ერთი რამ, რომ პირველივე დღიდან ბოლომდე - არ შეწყვეტილა ნებისმიერი მოლაპარაკებიდან მთავარი სუბიექტის გამორიცხვის მცდელობები. ისინი მზად იყვნენ ელაპარაკათ ნებისმიერ ადამიანთან, გარდა იმ ადამიანისა, ვისთან მოლაპარაკებასაც ძალუძდა ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა. მზად იყვნენ, ნებისმიერ ადგილას ელაპარაკათ ლოთი ქობალიასთან, ჩემთან, ნებისმიერ ადამიანთან, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა, თანამდებობისა და ა.შ., ოღონდ არა იმასთან, ვისთანაც უნდა ელაპარაკათ.

ამის გაცხადების საფუძველს მარტო ჩემი დასკვნები არ მაძლევს. უამრავი დამადასტურებელი მაგალითი მაქვს. თვით ამ საქმეში, რომელიც ახლა აქ ირჩევა, არის (ტ. 44, გვ. 5) გაზეთ "აღდგომის" 1993 წლის 7 სექტემბრის ნომერი, სადაც ვკითხულობთ პრეზიდენტის მიმართვას ქართველი ერისადმი, რომელშიც ზვიად გამსახურდია გამოთქვამს ასეთ აზრს:

"ხუნტა უარყოფს ყოველგვარ დიალოგს ჩემთან მაშინ, როდესაც მე მზად ვარ არსებული საკონფლიქტო პრობლემების პოლიტიკური გზით მოგვარებისთვის. მე მსურს ვიხსნა საქართველო შემდგომი ქაოსისა და სამოქალაქო ომისაგან, მაგრამ მათ სწორედ ეს არ აძლევს ხელს."

(გაგრძელება იქნება)

## ნუგზარ მოლოდინაშვილი "ნასედკების" კორპუსში გადაიყვანეს

პოლიტპატიმარი ნუგზარ მოლოდინაშვილი 14 ივნისს, მოულოდნელად, სუკის იზოლატორიდან შსს-ს №1 იზოლატორში გადაიყვანეს. ამჟამად იგი იმყოფება №45 საკანში, რომელიც იზოლატორის მეორე კორპუსშია განთავსებული. ეს კორპუსი "ნასედკების" კორპუსად არის ცნობილი. 60-იანი წლებიდან მას შევარდნაძის კორპუსსაც ეძახდნენ. იგი იმითაა ცნობილი, რომ პატიმრები იქ განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან და მათ მიმართ გამოიყენება ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა. როგორც ჩანს, პროკურატურამ გადაწყვიტა ურჩი განსასჯელის დასჯა.

საქართველოს ციხეებში დამკვიდრებული კანონდარღვევებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია სერიოზული პროვოკაცია. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება პროკურატურას.

*საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია*

# საზღვარგარეთული მივლინებები - ეუთო-ს ჰუმანიტარული დახმარება

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციამ 14 ივნისს გამართა მეტად უჩვეულო და, ვფიქრობთ, ყველაზე მასშტაბური პრესკონფერენცია, რომელიც ქართველ პოლიტპატიმართა პრობლემებს მიეძღვნა. დიახ, უჩვეულო, რადგან იმას, რაც იქ ხდებოდა, შეხვედრა უფრო ეთქმის, ვიდრე ჩვეულებრივი პრესკონფერენცია: საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებს შეხვდნენ ქართველ პოლიტპატიმართა მშობლები და ახლობლები. მათ მიეცათ საშუალება მოეთხროთ წამებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებზე, რომელთაც ადგილი აქვთ საქართველოს საპატიმროებსა თუ წინასწარი დაკავების იზოლატორებში.

ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა ისაუბრა მათ მიერ პოლიტპატიმართა უფლებების დასაცავად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ. ასოციაციის ინიციატივით მოეწყო ასდღიანი პერმანენტული შიმშილობის აქცია, მოთხოვნებით: გაუქმდეს სასიკვდილო განაჩენი ირაკლი დოკვაძისა და პეტრე გელბახიანის მიმართ; განთავისუფლდნენ პოლიტიკური და სინდისის პატიმრები; შეწყდეს პატიმართა ფსიქოლოგიური და ფიზიკური წამება; მიეცეს პოლიტიკური შეფასება 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებას. ამ ეტაპზე შიმშილობა შეწყდა, მაგრამ იგი გადაიზარდა მჯდომარე საპროტესტო აქციაში.

გიორგი კერვალიშვილმა აგრეთვე განაცხადა, რომ პოლიტპატიმრებად მიიჩნევს არა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს, არამედ წინა პარლამენტის წევრებს - თემურ ჟორჟოლიანსა და ირაკლი სურგულაძეს - და დაიცავს მათ უფლებებს.

პრესკონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებიც, მაგრამ მოვიდა, ისიც დაგვიანებით, მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათა შორის ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელი, პატიმართა საქმეების კოორდინატორი ლერი ქათამაძე. მან ისაუბრა სამართალდამცავ ორგანოებში არსებულ კანონდარღვევებზე და იმ წინააღმდეგობებზე, რომელთაც თურმე მათი მხრიდან აწყდება კომიტეტი. ქათამაძის თქმით, კომიტეტს გამოუკვლევია (?!), რომ წინასწარი გამოძიების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ცხრა თვეს, მაგრამ საგამოძიებო ორგანოები სხვადასხვა საბაბით აჭიანურებენ ძიებას.

ადვოკატმა დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ თვით სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ალექსანდრე კავსაძე ხშირად მიმართავს ადვოკატთა კოლეგიას საკონსულტაციოდ, რათა მოიძიოს გზები პატიმართა აუტანელი პირობების შესამსუბუქებლად. ამდენად, ნებსით თუ უნებლიეთ, იხატება სურათი, რომ თვით ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით შექმნილ სახელმწიფო სტრუქტურას, რომლითაც ასე ამაყობს ოფიციოზი, არ ძალუძს მიიღოს რეალური ზომები ადამიანის უფლებათა უზრუნველსაყოფად.

"იქმნება ისეთი ფასადი, თითქოს საქართველოში დაცულია ადამიანის უფლებები, - განაცხადა ადვოკატმა თემურ გოქსაძემ, - მაგრამ პრაქტიკულად არაფერი ამგვარი არ ხდება. ხელისუფლება დემოკრატიის ნიღბით უარესს სჩადის - ირღვევა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ მთელი პროცედურა, სასჯელის აღსრულების პროცესის ჩათვლით, განუწყვეტლივ ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. მე, როგორც პროფესიონალ ადვოკატს, როცა ამომეწურა ყველა საშუალება მივხმარებოდი პოლიპატიმრებს, პროტესტის ნიშნად, შევუერთდი შიმშილობის აქციას."

პრესკონფერენციის ბოლოსკენ გამოცხადდა ეუთო-ს მისიის წარმომადგენელი საქართველოში, ქ-ნი დარია ფეინი, რომელმაც მოუსმინა დარჩენილ გამომსვლელებს და ბოლოს დაამედა პოლიტპატიმართა ნათესავები იმით, რომ საქართველო შეუერთდა კონვენციას წამების შესახებ, რაც იძლევა სამართლებრივ საფუძველს, ერთობლივი ძალისხმევით, წინ აღუდგნენ პატიმართა წამების პრაქტიკას. მანვე აუწყა საზოგადოებას, რომ საქართველოში წამების ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, ეუთო-ს მისიამ ვარშავის ციხეებში მიავლინა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების თორმეტი წარმომადგენელი.

ჩვენის მხრივ განვმარტავთ, რომ დაახლოებით ორი თვის წინ შემდგარი ამ საზღვარგარეთული ვოიაჟის შემდეგ ქართველ პოლიტპატიმართა მიმართ კანონდარღვევათა სახეობები არათუ არ შემცირებულა, პირიქით, უფრო გაიზარდა და დაიხვეწა.

*დალი გერმანიშვილი*

ეროვნული

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

## დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)




(მეშვიდე თავის დასასრული)

### ეკლესია და პოლიტიკა

ილია II რამდენიმე წლის მანძილზე თავმჯდომარეობდა მსოფლიოს სასულიერო საბჭოს. მიუხედავად თავისი ტოლერანტობისა კომუნისტური სტრუქტურების მიმართ, ახალი პატრიარქი მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობდა, ამიტომ ღვთისმსახურთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. შემდეგ და შემდეგ ეპარქიების რაოდენობაც გაიზარდა. აშენდა ახალი ეკლესიები, თბილისში სასულიერო აკადემია დაარსდა. ბევრი ეკურთხა მღვდლად, რაც უდავოდ მისასალმებელი იყო, მაგრამ კვლავინდებურად საეჭვო რჩებოდა მათი ღირსების და პატიოსნების ხარისხი, რადგან მღვდელმსახურთა რიცხვის მატებასთან ერთად, ეკლესიაში კორუფციაც მატულობდა. რად ღირდა თუნდაც იგივე ვიქტორ შიოლაშვილის, ილია II-ის ძმის, მოღვაწეობა, ხუმრობით რომ "პატრიარქი №2" შეარქვეს.

ეკლესიის მართვა კვლავ საიდუმლო სამსახურის ხელში რჩებოდა. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებობდა საკონტაქტო ადგილი - თავისებური საშუამავლო ბიურო რელიგიის საქმეთათვის, რომელსაც "კაგებეს" მაღალი რანგის ოფიცრები განაგებდნენ. ისინი აკონტროლებდნენ ყველაფერს, რაც ეკლესიაში ხდებოდა და ისიც კარგად ესმოდათ, რა პროცესები უნდა შეეფერხებინათ და რა ტენდენციებისთვის გაეხსნათ გზა. ეს ბიურო ფუნქციონირებდა 1990 წლამდე. მერე კი, განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწოლით, მნიშვნელოვნად შესუსტდა მისი გავლენა საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაზე. "კაგებეს" ამ განყოფილების ფუნქციონერები იძულებულნი გახდნენ, დაჰყოლოდნენ ეროვნულ ნებას და თვალი დაეხუჭათ ეკლესიის მხრიდან ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ოფიციოზისგან დამოუკიდებლად მიღებაზე. ამ პერიოდში მორწმუნეთა ერთმა ჯგუფმა ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერით მიაღწია იმას, რომ ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხათ. ეს ქართული ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვება იყო.

ზვიად გამსახურდია და მისი სასულიერო თანამოაზრენი ამას გარდა მოითხოვდნენ გაუქმებული საპატრიარქოს საბჭოს და საეკლესიო სასამართლოს აღდგენას, რითაც სურდათ შეეჩერებინათ ეკლესიაში შეჭრილი კორუფცია და ანარქია. იმავე პერიოდში შესაძლებელი გახდა სამი მამათმავალი ეპისკოპოსის საკითხის გადაწყვეტა, რომელთა განკვეთასაც პატრიარქი ყველანაირად აჭიანურებდა. მართალია, ის ბოლოს იძულებული გახდა, განეკვეთა ორი მათგანი, მაგრამ საეკლესიო სასამართლოს (დიკასტერიის) აღდგენა წააწყდა გააფთრებულ წინააღმდეგობას როგორც მისი, ისე რწმუნებული აპარატის მხრიდან.

პირველი, რაც ზვიად გამსახურდიამ 1990 წლის თავისუფალი არჩევნების შემდგომ გააკეთა, იყო კომუნისტური საზეიმო დღეების გაუქმება და ქრისტიანული დღესასწაულების აღდგენა: შობა (6 იანვარი), ნათლიღება (19 იანვარი), სვეტიცხოვლობა (14 ოქტომბერი) და გიორგობის დღესასწაული (23 ნოემბერი). ამან მთელი მოსახლეობის ენით აღუწერელი სიხარული გამოიწვია.

ამას გარდა (სადაც ეს შესაძლებელი იყო) ეკლესიას დაუბრუნდა ჩამორთმეული მამულები და გათავისუფლდა გადასახადებისგან.

მეორე რესპუბლიკის კონსტიტუციაში არამარტო მტკიცედ იყო ჩაწერილი ყოველი მოქალაქის სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება, არამედ კონსტიტუციის ეს მუხლი საქმედ იქცა. ამ დროს ხელისუფლებაში მოსულ პარტიათა გაერთიანება "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" იცავდა გარანტიებს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის.

მაშინ ზვიად გამსახურდია წერდა: "საქართველოში, როგორც მართლმადიდებლური ქრისტიანობის ქვეყანაში, არსებობს უძველესი კავშირი სახელმწიფოსა და რელიგიას შორის. წარმოუდგენელია ამ ქვეყნის განახლება მორალურ-სულიერი განახლების გარეშე (...) ჩვენი მთავრობა იზრუნებს იმისთვის, რომ ძველთაგან გამოყოლილი კავშირი საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის კვლავ აღდგეს" ("საქართველოს რესპუბლიკა" 12.6.1991). არც ეკლესია უნდა ჩაერიოს სახელმწიფოს საქმიანობაში და არც სახელმწიფო ეკლესიის სულიერ ცხოვრებაში, მაგრამ სასურველია, რომ არსებობდეს მკვიდრი საფუძველი მათი თავისუფალი, მჭიდრო და მეგობრული ერთობლივი საქმიანობისა მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ამას განაპირობებდა არამარტო თავისუფალი მართვა სახელმწიფოსი, არამედ ისე წარმართვა საეკლესიო ცხოვრებისა, რომ იგი მაქსიმალურად განთავისუფლებულიყო ყოველგვარი პოლიტიკური და პირადული ინტერესებიდან. ამის გამო მიუთითებდა პრეზიდენტი მორწმუნეთ ახალი რუის-ურბნისის შემრიგებლობის აუცილებლობაზე.

1103 წელს საქართველოს განაგებდა მისი ყველაზე ღირსეული მეფე - დავით მეოთხე. იგი იყო არამარტო უგანათლებულესი ადამიანი თავისი დროისა, არამედ უძლიერესი მხედართმთავარიც. მის მიერ ბრწყინვალედ მოგებულმა ომებმა უზრუნველყო ყოველთვის მუქარის ქვეშ მყოფ ქვეყანაში უაღრესად თავისებური, თითქმის ას წელიწადს გახანგრძლივებული მშვიდობა. სწორედ ამ პერიოდიდან იღებს დასაბამს სულიერების არნახული აყვავება საქართველოში. ხოლო რაკი მან ადამიანები მათი კეთილშობილებით აღაშენა, მას დავით აღმაშენებელი ეწოდა. დავით აღმაშენებელმა ეკლესიის განახლებაც განიზრახა. ამ მიზნით მან, ვით მეფემ და მოძღვარმა, მოიწვია რუის-ურბნისის კრება და განკვეთა უღირსი ეპისკოპოსები. მათ "ქვაბ-ავაზაკნი" უწოდეს.

ხოლო რაკი ამჟამინდელი ეკლესია კომუნისტების სამოცდაათწლიანი ბატონობის შემდეგ შინაგანად გამოქვაბული იყო და მას ათეისტები წარმართავდნენ, იშვა აუცილებლობა, რომ რუის-ურბნისის კრების შესაბამისად, მას ადრინდელი ჭეშმარიტი დანიშნულება დაბრუნებოდა.

ზვიად გამსახურდია კვლავ და კვლავ ხაზს უსვამდა ქრისტიანული ცხოვრების სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში; ცდილობდა, თანამედროვეთა მეხსიერებაში გაეცოცხლებინა საუკუნეთა მანძილზე საქართველოში დაგროვილი უმაგალითო მოწამებრივი გამოცდილება; ხოლო ეკლესია, ვითარცა გამომხატველი და დამცველი ქრისტიანულ-საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მის აზრით, კვლავ უნდა აღმდგარიყო სრული ბრწყინვალებით.

პატრიარქი ილია II თითქოს არ ეწინააღმდეგებოდა პრეზიდენტის დიდ მიზნებს საქართველოში სულიერი ცხოვრების განახლებისა და აღორძინების საქმეში, მაგრამ გამომდინარე თავისი ლამის კომუნისტური წარსულიდან, 1991 წლის შემოდგომაზე ერთმნიშვნელოვნად პუტჩისტების მხარეს დადგა.

როდესაც შეიარაღებული ოპოზიციის რაკეტმტყორცნები პრეზიდენტის სასახლეს დაუმიზნეს, ხალხი პატრიარქის რეზიდენციას მიაწყდა იმ იმედით, რომ იგი ყველაფერს იღონებდა ძმათა შორის სისხლის ღვრის ასარიდებლად. მაგრამ ილია II-მ მათ იმედი გაუწბილა - თავს შეუძლოდ ვგრძნობ და ამიტომ შინიდან ვერ გამოვალო. თავდამსხმელთა ძალები მთავრობის სასახლის წინ მდებარე წმიდა გიორგის ეკლესიას აფარებდნენ თავს, იერიშიც იქიდან მიჰქონდათ მთავრობის სახლზე. ალყაშემორტყმულ პარლამენტს რაკეტებს ეკლესიის ეზოდან ტყორცნიდნენ.

ხოლო როცა ედუარდ შევარდნაძე - გეგმის შესაბამისად - კვლავ საქართველოში დაბრუნდა, პირველი, ვისაც ოფიციალურად ესტუმრა, პატრიარქი იყო. ამ სასულიერო პირის პირადი აღრიცხვის ბარათი, საბჭოთა საიდუმლო სამსახურის სხვა მასალებთან ერთად, 1992 წელს ხელთ ჩაუვარდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოებას. ისინი ეკუთვნოდა საქართველოში არსებულ ერთ-ერთ არქივს. ამ მასალებიდან ჩანდა, რომ ილია II 1962 წლიდან იყო საიდუმლო სამსახურის აგენტი - "ივერიელის" ფსევდონიმით. ასეთი ბარათები ხუთ სხვა სასულიერო პირზეც არსებობდა.

ეს მასალები, ალბათ, წერტილს უსვამს ამბავს, რომლის შინაარსი თუ ისტორიული მნიშვნელობა უფრო სრულად წინარე აღწერილი ამბების კონტექსტში მჟღავნდება.

(გაგრძელება იქნება)

გულთბილ თანაგრძნობას ვუცხადებთ ქეთევან ჭურღოვანიძეს

**მამის გარდაცვალების გამო**

და ვიზიარებთ მის მწუხარებას

*პოლიტპატიმრები: პეტრე გელბახიანი, ირაკლი დოკაძე, ზაურ ქობალია, ვალტერ შურღაია, ვიქტორ დომუხოვსკი, გედევან გელბახიანი*

---

TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

# №22 (in brief)

## 18 - 24 June 1996

### Abolish the Death Penalty

"We consider the existence of death penalty institution in Georgia as the tremendous injustice" - reads the statement of 366 prisoners of Tbilisi #1 Investigation Isolator. This Statement is addressed to the Parliament, Supreme Court and Kathalicos-Patriarch of Georgia. The prisoners are demanding to abolish this barbarian punishment so that Georgia would enter the XXI century as a progressive and democratic state.

### Chechen Citizens are Put to Trial in Georgia

On June 10 a Court hearing of the citizens of the Republic of Ichkeria Mr. Hozh-Ahmed Dudaev and Zelimkhan Esmurzaev who were captured on May 10, 1994 in Kazbegi, began under the chairmanship of the judge Leri Sakvarelidze (known from the Trial of political prisoners Zurab Bardzimashvili and Omar Kochamazashvili). The Prosecution is represented by the prosecutor Bezhitashvili, while the defense - by the lawyer Vazha Tsiklauri. As we have informed earlier the both defendants are charged with committing crimes envisaged by Articles 66 (espionage) and 79-238 (weapon contraband) of the Criminal Code of Georgia.

In addition to this both defendants are accused of participation in the war actions in Abkhazia. The witness Karaia went as far as making a testimony that he had seen how those boys were fighting on the side of the enemy at the Gumista River (?!), which naturally invited the doubts and a question: did the witness by some unexplainable chance remember the faces of these two men in the course of war actions on the banks of the Gumista River or did he remember the faces of all warriors fighting on the opposite side so well that now, three years later he would manage to recognize them all if necessary?

It was noted at the Court hearing that Zelimkhan Esmurzaev who by the moment of his arrest was only 15 in the course of preliminary investigation was promised to be exchanged as a prisoner of war and was offered to change his birth date from 1978 to 1976. The defendants declared that in the course of preliminary investigation they were subjected to tortures - the burning cigarettes were extinguished against their bare skin, they were switched to the current conductor and subjected to severe beating. As a result they were forced to make confessions which were videotaped and transmitted by Tbilisi TV. Esmurzaev named the member of the Supreme Council Mr. Zviad Dzidziguri who was kept with him in the Isolator of the Ministry of Security, as a witness of all that was happening to him.

It is noteworthy, that according to the materials of the Case a great amount of weapon was confiscated from the Chechen citizens by the moment of their arrest, as well as the grenade of "RGD" type. However the Search Protocol and the Protocol about confiscation of the weapon do not exist in the materials of the Case. To the question of our correspondent how that was possible the Prosecutor Bezhitashvili answered: "So what, such mistakes are made even by the experiences legal experts. The main thing is that the witnesses confirmed everything at the Court Hearing".

And the witnesses - the personnel of the Kazbegi department of the Ministry of Security Avsajanishvili, Buchukuri, Pavle Ladzikidze - all together were peacefully sitting in the Court hall listening to each others testimonies which is the serious violation of the Code of Practice.

### The Lawyers are Unanimous.

The lawyers made their speeches in defense at the Court hearing of Badri Zarandia and others case. They demanded the verdict of "not guilty" for their defendants due to the complete failure of the prosecution to prove the guilt of the defendants.

The lawyer Giorgi Chochia reminded the Court the facts related to the arrest of defendant Zviad Sherozia: how he himself came to the police station as soon as he learned that he was in search; how the document confirming that he had handed over his gun was hidden by the personnel of the police investigation department; how he was tortured in the building of Tsalenjikha police station which was confirmed by the witness Marina Kakachia who had been interrogated at the Court hearing. "The charges against Zviad Sherozia from the beginning to the end are unconfirmed and should be annulled in accordance with the Law" - stated the lawyer.

His colleague, Mr. Tamaz Rekhviashvili, did not consider it necessary to further dwell on the essential issues of the Case, having stressed only that this Court Hearing was settling scores with political opponents - "How can a person be forcibly isolated from the society and family by 15 years with the charge of committing murder when not a single cartridge-case fired by him has ever been found?"

The defender of the interests of the defendant Gurgen Malania Mrs. Dali Akhvlediani provided detailed description of the multiple violations in the course of preliminary and Court investigations such as beating of the suspect, detention the members of his family including his underage brother, forcing him to sign the testimonies, vanishing some materials from his Case. The lawyer stressed that a number of motions put remained unsatisfied by the investigation and Court including such important motion as necessity of confrontation and interrogation of the witnesses confirming the alibi of the defendant.

The defender of the interests of the defendant Murman Gulua Mrs. Nato Khujadze considered in detail both multiple controversies and violations existing in the materials of the Case and the principal issue whether National Guards and detachment of Zugdidi Commandant's Office were the band at all. "They had their headquarters, training base, isolator, press and television. The detachment with such attributes is a State rather than a band and the struggle they were engaged in actually was the struggle for power".

When speaking about this very issue the lawyer of the defendant Iuza Jgamadze noted that the members of the band should have had material interest and profit from their activities whereas from the families of the defendants judging by the materials of the case nothing valuable has been found to be confiscated... "Though as the experience of the previous similar Court hearings demonstrated when the State wishes to punish somebody it does punish the victim".

In the introductory part of her speech for defense the lawyer of the defendant Gabriel Bendeliani, Mrs. Tamar Lashaberidze dwelled on the political aspect of the Case. She emphasized the facts of torturing the defendant by pulling out the nails on his toes. This is confirmed by the testimonies of the witnesses and by the photo depicting taking the defendant to the place of crime in which it is clearly visible that the defendant is wearing the shoes with cut out toes. The Court did not satisfy the motion about providing medical expertise. In accordance with the materials of the investigation nowhere is mentioned to which gun belonged the cartridge-cases found during the investigation; the footprints found on the place of murder are not examined and it is unknown to whom they belong, the care with multiple gun-fire traces was not examined and finger-prints were not taken; the wounded murderers vanished in the blue air, though the traces of their blood were abundantly scattered on the place of the crime. These and other multiple violations testify to the low professional skills of the preliminary investigators.

All lawyers stressed the violations existing in the materials of the Case such as the Protocol of taking the suspect to the place of crime, according to which the lawyers were not participating in this procedure; as well as shear discrepancies between the cartridge-cases found, conclusions of the experts in ballistics and weapon kind and type which was confiscated from the suspects.

The opinion of the lawyers concerning the procedure of interrogation was unanimous: they claimed that the Prosecution was relying on suggestions, forcibly received confessions which the defendants more than once rejected. No convincing proofs of the guilt of Badri Zarandia and others exist, the defendants were fighting in Abkhazia against the separatists for the territorial integrity of Georgia. Considering all above said the lawyers demanded the verdict of "not guilty" for their defendants.

*S. Guramishvili*

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კვეგელში

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia